ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 65
გამარტივებული შესყიდვა
31527200-გარე სანათები

ქ. თერჯოლა 13 ივნისი 2017 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური"-ს დირექტორი ტარიელ ფანჩულიძე (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „**შპს "EL-GROUP"**- ის დირექტორს ზაალ სებისკვერაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი:

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გარე სანათების შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერაუდო ფასია 500-00 (ხუთასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება –მოვალეობა:

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე 5 დღის ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს გარე სანათები.

ბ) მიწოდებული საქონელი აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 პუნქში განსაზღვრული წესით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ქ. თერჯოლაში. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. ანგარიშსწორება

5.1 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორებისათვის გამოიყენება გადარიცხვის ფორმა.

5.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ანგარიშ-ფაქტურა (სასაქონლო ზედდებული).

6. გადასახადები და დაბეგვრა.

6.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

7.1 მხარეებს შეუძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულის შესახებ წერილობით შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში.

7.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.3. 7.2. პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

8. საჯარიმო სანქციები

8.1 ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტისათვის მხარე იხდის პირგასამტეხლოს მეორე მხარის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის ოდენობით ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის

ფორს-მაჟორი

9.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან ხელშეკრულების შესრულების შეფერხება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების (გარდა ფასისა) გადასინჯვა შესაძლებელია მხარეების ინიციატივით.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 13 ივნისიდან 2017 წლის 30 ივნისამდე.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან ხოლო 1 ეგზემპლიარი – მიმწოდებელთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური"	შპს. " EL-GROUP"
მისამართი: ქ.თერჯოლა რუსთაველის ქ.№109.	იურ. მისამართი: საბურთალოს რ-ნი დიღმის ველი, ბ 28
ს/კოდი: 431945274.	ს/კოდი: 401957021
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"-ს თერჯოლის ფილიალი.	ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE29LB0115149052055000	ანგ. № GE38BG0000000895042600
დირექტორი ბარიელ ფანჩულიძე	დირექტორი ზაალ სეხნიკვერაძე